ბრძანება:**ბ14.14213075**
თარიღი:**03/11/2021**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ.“ ქვეპუნქტებისა და 2021 წლის 13 აპრილს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის (სტრატეგია და სამოქმედო გეგმა) შემუშავების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) სოფიკო ხალვაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) მერაბ ქიძინიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

გ) ლამზირა ბოლქვაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

დ) ია შალამბერიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ე) გიორგი სურმანიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ვ) ვერიკო ზაქარიაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფი-

ლების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორი, სამუშაო ჯგუფის წევრი);

ზ) შორენა ფაღავა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორი, სამუშაო ჯგუფის წევრი);

თ) ნუნუ ბახტაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი).

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნას:

ა) ირაკლი აბულაძე - ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრის“ სპორტის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ბ) რუსუდან სალუქვაძე - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

გ) ნოდარ კონცელიძე - სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის შემეცნებითი და გასართობი პროექტების მართვის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგიფის წევრი);

დ) გიორგი წულუკიძე - სსიპ - აჭარის დასაქმების სააგენტოს თანამშრომელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ე) ნათია აფხაზავა - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ვ) თეიმურაზ კაკაბაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ზ) დავით არძენაძე - სტარტაპერი, კომპანია „ჰილლ ინნ-ის“ დამფუძნებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ შშმ აქტივისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

თ) ასლან ართმელაძე - ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ტრენერი და კონსულტანტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ი) გიორგი ბოლქვაძე - „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების“ ბათუმის ფილიალის თანამშრომელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

კ) მარიკა ზაქარაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ პროექტის მენეჯერი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ლ) ანა ნიქაბაძე - პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

მ) გიორგი ქამადაძე - სამოქალაქო აქტივისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ნ) ლიკა ზაქარაძე - სტუდენტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ო) მაკა გორგაძე - სტუდენტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

პ) თამაზ ბესელია - სტუდენტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ჟ) რომან სურმანიძე - მოსწავლე (სამუშაო ჯგუფის წევრი);

რ) მაგდა ზოიძე - მოსწავლე (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ს) ბექა მამულაძე - მოსწავლე (სამუშაო ჯგუფის წევრი).

3. სამუშაო ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:

ა) „ახლგაზრდების გამოწვევები და საჭიროებები“ - ბათუმში, კვლევის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევების მიხედვით, ფორმირებული თემატური ჯგუფების მიერ დასახელებული ღონისძიებების განხილვა და დამატებითი რეკომენდაციების გაზიარება;

ბ) ბათუმის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული მიმართულებების შესახებ პროექტის განხილვა, საბოლოო სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და შეთანხმება;

გ) ბათუმის ახალგაზრდული სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს პროექტის განხილვა, საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა და შეთანხმება;

დ) სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტის პროექტის განხილვა და დამატებების, ცვლილებების შეტანა;

ე) სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტის განხილვა და რეკომენდაციების გაზიარება.

4. სამუშაო ჯგუფმა იმოქმედოს წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

5. სამუშაო ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ.

6. სამუშაო ჯგუფის მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს ეთერ დავითაძეს.

7. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლელა სურმანიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი